

ჩემი პირობები

ჩემი პირობები... მისი პირობები...

ხელის-მოწერა

ხელის-მოწერა... მისი პირობები...

„დროება“-ივერიის უსნი

სულიწადში 6 თვეს 3 თვეს

„დროება“-ივერიის უსნი... მისი პირობები...

„დროება“-ივერიის უსნი... მისი პირობები...

„დროება“-ივერიის უსნი... მისი პირობები...

დროება

ბაგოლის ყოველ-ღვე ორშაბათს ბარდა

უსნი ბანსადევიძის

დღის ასოებით ასოზე 1 კობი... მისი პირობები...

თუ საქართვება მოითხოვს... მისი პირობები...

განცხადება... მისი პირობები...

პირველი ღვიწკანისთვის ფლის დაგეგმვის

დროება

ღირს სამი მხნეთი

ივერია

ოთხი ბანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

ფილი ბანეთი

ტელეგრაფები

(საღმის შარის საგანგებო)

ლონდონი, 6 ოქტომბერს. „სტანდარდში“ დაბეჭდილია ათინიდან...

სტამბოლი, 6 ოქტომბერს. ოსმალის ფრანგის პატრონი ქაქისუნის ძე...

ბერლინი, 6 ოქტომბერს. გერმანიის ბანკის გეგმის განხილვის საგანგებო...

პეტერბურის ბირჟა, 5 ოქტომბერს.

Table with exchange rates for various locations like Baku, Tiflis, and London.

რაოდენათ მართალია, რომ მართლს ენას სიღარიბე უმწამებს?

ტფილისი, 7 ოქტომბერს.

მეთაისში იყო ამავე გუბერნიის მასწავლებელი კრეზა... მისი პირობები...

რომ რუსული ენა უნდა ისწავლოს და იცოდეს ყოველმა ქართველმა...

ამაში ვერ დავეთანხმებით ბატ. სემიონოვს...

თუ ეს ასეა, მაშ რადს იბრძოდა ბატ. სემიონოვი...

* „დროება“ № 204, 205 და 206. ** „დროება“, № 204.

ვებს თქვენს სკოლას, შემდეგ რომ სხვა და სხვა წიგნები მოითხოვოს...

ამაზედ ერთს მასწავლებელს და ბ. ძირილე ლორთქიფანიძეს უცხოთ უპასუხნათ...

იქნება ნიშნს გვიგებს: „ბა რა ენა გაქვთ და რის იმედით შეისწავლით რასმე?...“

თუ ფიქრობს გიმნაზიაზედ, იქ ხომ ქართულათ ამ საგნებს ჯერარ ასწავლიან...

სწორეთ ამაზედ მსურს უპასუხო იმ ბატონებს...

ქართული ენა დიან მდიდარია. მეთორმეტე საუკუნეში რომ ქართული ლიტერატურა იდგა...

მეთორმეტე საუკუნის ნახევრამდის ქართული ლიტერატურა კიდევ გვირია...

ამაში დღელი ქართული თხზულებანი რომ შევადაროთ...

* „დროება“ № 206 და 209.

მტერნი რჯულისა და მამულისა, და სდევნიდნენ ისე დაუცხრომლოთ...

ბი მიხვებით, რატომაც ქართული ლიტერატურა შებრკოლებულია...

ბი მიხვებით რომ არ ყოფილიყო, ქართველები იქნება სხვა ხალხს წინაც წაუსწრობდნენ...

იმ კითხვაზედ: „გვაქვს, ან გვექონდა თუ არა სწავლა და წიგნები...“

რომ გვექონია იმ გვარი წიგნები, ამას გვიმტკიცებს მათი საგნების სიტყვები...

რასაკვირველია, რომ ქართველების წერილებში ვერ იპოვიოთ ახლათ შემოღებული...



ადვილად დაასახელონ თავიანთებური სახელწოდებითაც.

ბევრი სიტყვები მოიპოვება უცხო ქვეყნისა რუსულს ენაში შემოტანილი, რომლებს სახელწოდება ქართველებს სასესხებლათ არ გაჰხდომიათ და არც გაუხდებათ. მაგალითათ: **აბაჯურ** — ტორო, **შიენი** — არიფანა, **მუფთა** — ქურო, **ветеринарь** — ბეტარი, — პეიტარი, **киттель** — ბილონი, **фартук** — არდაგი, ბოქნოცი, **вигзаг** — იკანკელი, **ქარკვანი**, **такса** — ნიხრი, **характер** — ნიშატი, **оркестр** — ნოაგი, სახიობა, **амфиби** — ორნხოელი, **лингвист** — საღუნი, **этаж** — სართული, **ქორი**, **мозаика** — საროთი და სხვანი მრავალნი.

ზევით მოვიხსენიე, რომ სემიონოვისაგან საეჭვოდ ხსენებული წიგნები ზოგი გვაქვს და ზოგი გვექონია-თქო, რომლის დამტკიცებას ვაუფნებდი ქართულს ლექსიკონში და სხვა და სხვა წიგნებში მოხსენებულის სიტყვებით.

აი ნიშნუები:
საზოგადო ფიზიკისა და სამუნჯუბო (ასტრონომიის) დოკუმენტიცა:

Карта — რუკა, **остров** — უსტიქა, კუნძული, თარო, თალქა, თილკე, სერთვისი, **мысь** — კონცხი, **пролив** — სრუტი, **залив** — უბე, ყურე, **созвѣздіе** — ვარსკლავ-კრებული, **горизонт** — კინტო, **пожаръ степной** — ხანძარი, **небесныя явленія** — ცისიერი, **горизонтъ неба** — ორანო, **пещера** — აშქაფუთი, **отмель** — თავ-თხელი, **орбита** — მელტაგო, **аэролитъ** — მელგარი, **времена года** — ჯგუფი, არე, **стихія** — ახო, **метеоръ** — ვარსკლავ-მორბედი, **тропикъ-рака** — ელონა, **солнечный путь** — მარიოტა, **сѣвѣръ** — ნოტა, **югъ** — ონოტო, **равноденствіе** — ბუნიაობა, **радуга** — ცისმწვილ-და, ირისე **звѣзда вѣтровъ** — ვარსკლავი ქარისა *) და სდვანი მრავალნი.

Названіе планетъ — Орбита планетъ
მზე — პოკიმელი — **солнце**.
მთვარე — შირანო — **луна**.
არეას — კიმკიმელი — **марбъ**.
მზმი — ცერვანო — **меркурій**.
ზევისი — კიმკიმელი — **юнитერъ**.
აფროდიტი მელტაგრა **ვენერა**.
ქრონოს ალბასტრო **сатурнъ**.
ბუნჯი, ანუ ზოდიაქო. **Зодіакъ**.
მერძი **овенъ**.
ქურო **телець**.
მარჩიბი **близнець**.
ბირჩიბი **ракъ**.
ლომი **левъ**.
მალწული **дѣва**.
სასწორი **вѣсъ**.
ღრიანკელი **сваріонъ**.
მწვილდოსანი **стрѣлецъ**.
თხის რქა **козерогъ**.

*) ქარის ვარსკლავს 32 სასკლავო-დებს აქვს ქართულათაც, რეგორც კვრობილეუბისას. — ისილე საზოგადოების ლექსიკონში — ქარი.

მერწყულ водолей.
თევზი **рыба**.

ამას გარდა არიან მრავალნი ვარსკლავები ყოველი კაცისათვის თვალსაჩინნი: **თადგირი**, **ძონდო**, **ძნარი**, **სისკრისა**, **ძალი-ვარსკლავი**, **წოვარი**, **ხარიპარია** და სხვანი მრავალნი.

2) **ართომეტრიკიდან და გეომეტრიკიდან** ბევრი — 10,000, ბევრის ბევრი — 100,000, უშქარი — 1,000,000, უშტი — 10,000,000, უშტის უშტი — 100,000,000; გვერდი, სამყური — **треугольникъ**, სწორგვერდი — **равносторонній треугольникъ**, წვივედი — **равнобедренный треугольникъ**, კბის-გვარი — **разносторонній треугольникъ**, ქეშაო — **паралельный**, კარაკინი — **циркуль**, ოდრიკალი — **дуга**, ოწინარი — **рычагъ** და სხვანი.

3) **საზომი და საწყაო**. — **Метрологія**.

ბრივი — **мѣра сыпучихъ тѣлъ**, დანგი — 3 **карата**, ზუზა — 1 1/2 **драхмы**, ალაჯი — **миля**, ეჯი — 3 **мили**.
კეფი — **листь**, კაბალონი — **поль листа**, გვერდი — **страница**, რუბი — 1/4, შაბათისგზა — **тысяча шаговъ**, მარჩილი — 60 **коп.** და სხვანი მრავალნი, რომლებიც აქ ვერ დავწერე, რადგან სტატია ვერ შეიწყნარებდა სიმრავლის გამო, ამიტომ რომ, ჩემი ხელ-ნაწერი, საზომ-საწყაოს სახელები შეადგენს სამს თაბასს..

აქ მხოლოდ იმას დავსძენ, რომ ქართველებს აქვთ საათის მსგელოების რიცხვის სახელები, რომლის მსგავსი იქნება ბევრს სხვა რჯულს ხალხსაც არა ჰქონდესთ. მაგალითებრ: საათს, ანუ ჟამსა აქვს — **ოთხი წენტილი**, ანუ სამოცი წამი, წამსა აქვს 60 წუთი, წუთსა — 60 კესი, კესსა — 60 მასი, მასსა — 60 არდი, არდს — 60 მეყი, მეყს — 60 წენი, წენსა — 60 ვაწე, ვაწეს — 60 ბლისი და ბლისი — 60 ნიენი.

4) **საქიმიო ნაწილი**. **Медицина**.

აბეკაქი — **тиньтура**, აკუმი — **гермофродитъ**, გულისგზო — **артерія**, ვუნი — **желтуха**, დამასკოი — **полнокровіе**, დისნოა — **астма**, ეკლოვისი, კაროსი — **летаргія** მარაკი — **плевапечени**, მასარიკა — **пищепріемникъ**, საგრკველი — **жила**, სახსნელი **задняя кишка**, ტაბასტა — **профлувиумъ** — **круептумъ**, ფაგედანა — **фистула**, ქაშთაჯი — **пилюля**, ქსეონი — **госпиталь**, ენკრატისი **сестра милосердія**, წყურტი — **дитсауусъ**; ჯარა ექიმი, დასტაქარი და სხვანი მრავალნი, რომელნიც ჩემს ლექსიკონში შეადგენენ ექვსს თაბასს. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ შიგნეულს აგებულობასა და ძარღვებს თვის-თვის სახელები ჰქვიათ, როგორც შემდეგნი:

თაგუნი (მხვილი ძარღვები), ანო (მგრძობელი ძარღვი, შეთხუილი შემადარღვანი), კანთი, ანუ შეშამანდვი (სადრეკის სხვილი ძარღვი), ისქიო, იღუნაო (ბარკლების და მუხლების სადრეკნი), კათაღიკე (მკლა-

ვის შუა ძარღვი), **ტენონი** (მგრძობელი, სხვა ძარღვებდ დამოკიდებული და ზოგჯერ პტყელი.) და სხვანი.

5) **ქამია და ფიზიკა**. **Химія** и **физика**.

Электричество — ტატანი, **газъ** — გვერფი, **кислый источникъ** — ევბა, **соли** — ხაშური, **средство жидкостей и газовъ** — ეზარების, **соединеніе** — შეთხვა, **окиси** — ხეფელი, **переломленіе лучей** — დამუხვლა, **іоты** — ცახე, **солнечныя лучи** — ციაგი, **рефлексъ** — თინათინი, **непроницаемая густота жидкостей** — კამში და სხვანი.

აქაც საჭირო არ არის ჩამოთვალოს ყველა ბუნების მოვლენა, მისი კანონები და მიზეზები, ანუ კიდევ ნივთიერებანი, რომელნიც შეადგენენ ქიმიის საგანს.

ზღვისა და შიგნეულისა შესახებ. **Термины морскіе** и **касающіеся плаванія въ моряхъ**:

დასინაღრება **батометрія** (პრო-ბრ) **моря**. შრაქია, **подводный камень**. შრაგა **подводная гора**. ზვიროთი **валъ**.

ნავთსადგური **пристань**.
ნავთსაყუდელი **портъ**,
მარტლი **тифонъ**
ნაშაში **впадина**, **образуемая волнами**.

აკრა **прибрежная глубина**.
ანკირა, **აფთიონი**, **პიდალო**, **ტიმონი** **лѣва руль**.

მგრვალი **рулевой**.
აფრა **парусъ**
აფქიო **парусъ ладьи**
მეაფქიო **управляющій парусами**.
ანგა, **საყე**, **ნაქუსი** **мачта**.
ბაგირი **канатъ**.

ბესი **поперечная жердь**, **къ которому привѣшиваютъ паруса**.
ლომონი, **გემი** **корабль**.
ატარლა **военный корабль**.
პოპანო **судно**.
ზარბუნა **кочерма**.
პოპინო **паузовъ**.
ნუშა **яликъ**.
ოლენ **ჰკანდარი** **ладья**.
ონჩხომელი **капфъ**.
ონჩხომელი **барка**.

პურკატა **судно** და სხვანი მრავალნი ნაგები როგორათაც: **კარაბა**, **ზარბუნა**, **კარჭაბა**, **სომალდი**. —

სტოლი **эскадра**. —
პიკატი **пассажиръ**. —
ნავთ-მეკუფროსკო სახელწოდებანი იყენენ: **ნავსე** — **судоостроитель**, **მეპროროე** — **адмиралъ**, **მპირველობნი** — **лейтенантъ**, **ნავკოსალარი** — **капитанъ**, **ნავტური** — **шкиперъ**, **კომიტი** (ცის მზომელობით ნავთ მაცეანებელი) და სხვანი.

სამხედრო და საომარო. **Военные** и **боевые**.

პატენი, **ფლისკინა**, — **траншея**.
ქაჩანა — **блокада**, **ზამბულაკი** — **фалькоиетъ**, **ფილთამეხი**, **ქვემეხი** — **мортира**, **ფილაკვანი** — **бомбарда**, **ზარბაზანი** — **орудіе**, **შილინგი** — **салютація**, **დარგი** — **флангъ**, **ალღუმი** **смотръ войскамъ**, **დენთი** — **порохъ**,

მეციხოვნე — **гарнизонъ**, **სასაზღაო** **ნიჯადი** — **вспомогательное войско**, **შაეცეცლა** — **бомба**, **გუნდი** — **6-т. войско**, **ღროშა** — **знамя**, **ზავი** — **перемиріе**, **კოჰნაანი** — **полководецъ** და სხვანი მრავალნი.

საომარი თოფ-იარაღნი: **ხმალი**, **ისარი**, **ჩაჩხანი**, **ჩაფხუტი**, **ჩაბალონი** და სხვანი და სხვანი.

თვითოვლის ამათვანის სახელწოდებათა ლექსიკონი გამოვა 3-6 თაბახმდის და გარდა ამისა, მე მაქვს ახლათ შედგენილი ლექსიკონები: **მცენარეთა**, **ცხოველთა** და **ლილოთონთა**, რომლებიც შეადგენენ: **ლილოთონთა** ლექსიკონი — **შვიდს** თაბახს, **ცხოველთა** — **ოცდაათს** თაბახს და **მცენარეთა** — **ოთხმოცდადის**.

მე ასეც ვგონებ, რომ ბუნების ისტორიისათვის, თუ რუსულმა ენამ არ იხმარა ლათინური სიტყვები, ვერას მოახერხებს და ქართულს კი არ გაუჭირდება. — შთქვათ მაგალითთ: **უნაბი**, **ლაფანი**, **სხვა** და **სხვა** რიგი ხილი, **სხვა-და-სხვა** გვარი ყურძენი, — ამავების სახელები არ არის რუსულში. — ამ ხუთი წლის წინათ ცხამაზი არც კი იცოდნენ რა იყო და შედეგადანს დაარქვეს. — 1858 წელში ერთ რიგს სუროს მუთაისში მყოფმა რევნერმა დაარქო — **რეგენარია** და ეხლა ამ სახელსა ხმარობენ. ბევრი ისეთი მცენარებიც არის ჩვენს ქვეყანაში, რომ ჯერ ბუნების მეცნიერთაც არ უწოდებიათ სახელები და ჩვენში კი არსებობენ, როგორათაც: **თობალონი**, **ქრთილი**, **ადრეულა**, **ალილენა**, **ამუჯა**, **ანჩხლა**, **ბეყანა**, **გარდამრიდა**, **გობისცხვირა**, **ღულუმბო** და სხვანი მრავალნი.

მამ ისეც ისა სჯობია, რომ ბ. სემიონოვი ამ გვარებში კი არ გვეჯიბრებოდეს და ნიშნს არ გვივებდეს, არამედ მიჰყვეს იმ აზრს, რასაც თვით პედაგოგა მოითხოვს და როცა ჩვენ სახელმძღვანელო წიგნების უქონლობით შევებრკლოთ სწავლა და მოსწავლენი, მაშინ სრული ნება ექნება აღმოფხრას ქართულთა ენა, როგორათაც ეხლა მარტო ამის სურვილს აცხადებს თავის აზრში.

თ. რაფიელ ერისთავი.
5 ოქტომბერს.

თფილისის ქალაქის რჩევის სხდომა
6 ოქტომბერს.

სხდომას დაესწრნენ 25 ხმოსანნი. **თავს-მჯდომარის** ადგილი უჭირავს **ა. ა. შამაშოვს**.
სხდომის გახსნის დროს ბატ. **თამაშოვმა** წაიკითხა ტელეგრამები, რომლებიც იმას გაუგზავნია, ქალაქის სახელოსნო სასწავლებლისა და პირველ დაწყებითი სკოლის გამართვის გამო, **დიდ მთავარ ნამესტნიკთან**, **თ. ბარიათინსკის** ქვრივთან, **თ. იზ. დ. თუმანოვთან** და იმათი პასუხი იმ ტელეგრამებზე. **ჩჩევამ** დაადგინა გამოცხადოს **მადლობა** სკოლის გასა-

მართავდ დაწინაურდ კამისიას და ავრეთვე ყველას, ვისაც მიუღია მონაწილეობა ამ სასწავლებლების ამგებებაში და ან სხვა რაიმეთი დახმარება.

შემდეგ ბატ. სეკრეტარმა წაიკითხა მთ. გუბერნატორის წერილი, რომლითაც ის ატყობინებს ქალაქის რჩევას, რომ ვერ უსრულებს იმ შუამდგომლობას, რომელიც რჩევამ შეიტანა იმასთან შესახებ ზურნისა და სხვა სახალხო დროს გატარების მოსაზრებედ. წაიკითხეს თხოვნა, რომელიც გაგზავნილი იყო გუბერნატორთან ამ საგანზე. აღმოჩნდა, რომ ქალაქის პოლიციას აღუკრძალავს ქალაქში ზურნის დაკვრა, ყვერა და სხვ. და რჩევას ამ საგანზე გადაუწყვეტია ახრილში, ეთხოვით გაეუქმებინა ეს პოლიციის განკარგულება.

რჩევამ მოისმინა ეს მოხსენება და დადგინა უჩივლოს ბატ. გუბერნატორის სენატში, რადგანაც ამან: 1) ამ შუამდგომლობის გარჩევა არ გადასცა გუბერნიის საქალაქო პრისუტსტივის განსახილველათ და 2) არ მიიღო მხედველობაში, რომ ამ ხალხის მუშაკაში და დროს გატარებაში არ არის არაფერი საზოგადოების მანებელი და აყენებს შეურაცხყოფას ნაციონალურ ჩვეულებას. ხმოსანმა პ. ბებუთოვმა ამის შესახებ წარმოასტკვა მშვენიერი სიტყვა.

ქალაქის მთავის მაგიერის წინადადებით, რომ რჩევას აერჩია ერთი კაცი, რომელსაც დაეთვარიელებია ქალაქის ადგილები, ცალკე პირებზე გადაცემული, რჩევამ, კენჭის ყრით ამოარჩია ამ გვარ პირად ხმოს. ს. პ. ალადათოვი.

ძიდე იყო რამდენიმე საღანი გასარჩევი, მაგრამ ათ საათზე ორი თუ სამი ხმოსანი გაიბარა და ამის გამო რჩევა იძულებული შეიქნა, რომ სხდომა შეეწყვიტა.

ახალი ამბები

ზაზეთს „ზოლოს“ აცნობებენ, რომ ძავეკასიის აქეთა მხრის შემოსავლგასავლის პროექტით, მომავალ წელს 8,832,219 მან. შემოსავლს ელიან. ეს შემოსავალი წლევედელ შემოსავლგასავლის სქემაში შეტანილს შემოსავალზე (9,015,200 მან.) 189,981 მან. უფრო ნაკლებია. ეს ნაკლი სრულიად მიეწერება დამოქნის გადასახლის შემოსავლის შემცირებას; ეს შემოსავალი 1880 წ. შემოსავალგასავლის სქემაში 1,648,865 მან. იყო შეტანილი და მომავალ წლისათვის კი სულ 1,416,500 მ. შეტანილია, ესე იგი 38,397 მანეთით უფრო ნაკლები, ვიდრე 1879 წლ. შემოსავალი იყო (1,449,867 მ.)

ამ შემოსავლის ასე შემცირება, უთუოდ ამ წლის დამდეგში შემოსარულ გადასახლის დანაკლულებას უნდა მიეწეროს.

შემოსავლის სხვა უმთავრესი ნაწილები შემდეგია:

ზადასახალი—2,257,862 მან. სასმელების ბაჭი—1,238,000 მ. მამბაქოს გადასახალი—537,500 მან. მარილის და შაბის გადასახ—314,670 მან. ღვრბის ქალაქის გადასახალი—441,700 მან. საბატონ-ყმო, სასამართლო, და კანცელარიების გადასახალი—170,500 მ. მაჭრობის და წარმოებათა უფლების გადასახალი—625,000 მან. სხვა და სხვა გვარი გადასახალი—309,150 მან. შოჩის შემოსავალი—391,930 მან. შემოსავალი სახაზინო იჯარით გაცემულ ქონებისა და სათევზო წარმოებისაგან—482,919 მან. საწონის შემოსავალი—226,000 მან.

ამ გადასახლების მოსაკრები ხარჯი გამოანგარიშებულია—1,192,817 მ. ხარჯის გამოთვლით ხადადი შემოსავალი განსახლდრულია—7,639,402 მ.

გასავალი: 1881 წლისათვის გამოანგარიშებულია 8,771,100 მან. აწმყო წლის გასავალზე (8,310,498 მ.) 460,602 მან. მეტი.

ზასავლის უმთავრესი ნაწილები:

- 1) ძავეკასიის ნამესტნიკის ჯამიგირი—27,238 მ.
- 2) მისი თანაშემწის, მთავარ სამმართველოს და ნამესტნიკთან მოსამსახურე პირების ჯამიგირი—36,511 მან.
- 3) ცენტრალურ სამმართველოთ შენახვა—439,588 მან.
- 4) ნამესტნიკის განკარგულებაში—132,000 მ.
- 5) ზის უფლი და სხვა და სხვა შესაწვენლად მისაცემი სამსახურში ჩარიცხვის ანუ სხვა ადგილს გადაყვანის ან გაგზავნის დროს—240,000 მ. ეს გასავალი 55,000 მ. მეტია აწმყო წლის ამ რიგს გასავალზე.
- 6) დამატებითი ჯამიგირი ძავეკასიის აქეთა მხარეში სამსახურის წარჩინებისათვის—405,000 მ.
- 7) აწმყო წლისაზე—31,000 მან. მეტი.
- 8) ზუბერნიის უფროსების და გუბერნიის სამმართველოების შესახებ—283,567 მ.
- 9) მახრების სამმართველოთა, საპრისტავოების და საქალაქო პოლიციების შესახებ—464,086 მ.
- 10) ხალხის სამხედრო მმართველობათა შენახვა—601,463 მ.
- 11) ზასავალი საგლეხო და დასახლებელ დაწესებულებათა—180,779 მან.
- 12) ხარჯი დამოქნისათვის—398,009 მ.
- 13) სამღვდლოების შენახვა—59,649 მ.
- 14) ამათგან მმართლ-მადიდებელთა—1,260 მ.
- 15) ლატრანგების—6,270 მ.
- 16) ძათოლიკეთა—3,751 მ.
- 17) სომეხთ—გრიგორიანთა—10,395 მან.
- 18) მაჰმადიანთა—37,973 მან.
- 19) შოჩის ნაწილის შენახვა—287,304 მან.
- 20) სასწავლო უწყების შენახვა—699,684 მ.
- 21) ახალ წესების სასამართლო ადგილთა შენახვა—162,868 მ.
- 22) სახაზინო შენობათა და გზების აშენება და შეკეთება—798,215 მან.
- 23) სამმართველო უწყებათა და სხვა სახაზინო საქიროებისათვის სახლების დაქირაება—254,420 მან.
- 24) ტუსაღების შენახვა და წამლობა—202,039 მან.
- 25) სახელმწიფო ქონებათა და ტყის მმართველობის შენახვა—

261,119 მან. 21) ძალაქების შესაწვენლად საქალაქო პოლიციის შესახებ—137,595 მ.

ჩვე გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ამ დენოზისთვის 13-ს ჯერ სიონის სობოროში და შემდეგ ძალაქის სამკურნალოში იქნება პარაკლისი იმ დღის სადღესასწაულოდ, როდესაც ეს 4 აპრილის მოსაგონებლად გახსნილი სამკურნალო ძალაქის მცხოვრებლებმა გამართეს.

„დროების“ კორექსიონი

ცხინვალი, 2 აქტომბერს. დავიჯეროთ სხვა „სულებშია“ ასე ძნელათ არჩევენ საქმეებს და ამ ნაირად ეკიდებებიან ხალხს, როგორც აქ, ჩვენ ცხინვალის სულში? რის ვაი-ვაგლახით ეღირსება კაცს დაუნიშონ დრო საქმის გარჩევისა; მაგრამ უთ იფიქრებს ეღირსოს უწყებაში აღნიშნულ რიცხვში საქმის გარჩევის; მცირედი მიზეზის გამო, ხან-დის-ხან უმიზეზოთა, საქმეს გადასდებენ და დასტოვებენ პირ დაღებულ კაცს ცარიელს.

ორმოც დასამოც ვერსტზედ მცხოვრები ხალხი უწყებაში აღნიშნულ რიცხვზედ და საათზედ მოსულნი სდგანან „სულის“ კარებთან და ელიან სუდიას, რომელიც ან სრულიად არ მოვა და თუ მოვა, ისეც თორმეტ საათზედ, გაარჩევს ორიოდ საქმეს, იმასაც ან თავის მეგობრისას, ან დიდი პობოლებისას და დანარჩენს, ვითომ ავთმყოფობის გამო, გადასდებს.

ეს კიდეც არაფერი, თუ კაცი ამას მაინც ეღირსა, კანცელარიაში გაიგო—თუ რა დროსთვის ინიშნება გარჩევა გადადებული საქმისა, ანუ მოახერხოს გარემოების შეტყობა რომელიმე საქირო საქმისა. ძანცელარიაში ერთი ვილაც უტოდინარი სეკრეტარი ი. ლი—კი დაუსვამთ, რომელიც, რომ თავი არ შეწყინონ, ფრიად აღუკრძალავს გარეშე პირს კანცელარიაში შესვლას; მეტი ღონე არა არის—რა ისევ სუდიას უნდა მიმართო, მაგრამ სუდის ნუგეშიც ეს გახლამთ: „კანცელარიაში იკითხე.“ ეს კარგი ნუგეშია, სუდია კანცელარიაზედ გითითებს ხელს. ძანცელარიაში სეკრეტარი არ გიშვებს, მერე რითი ბოლოვდება შენი საქმე? მითი რომ ვერას გებულობ და ბრუნდები შინ შინ ცარიელი. სხვათა შორის ამის მაგალითებისა მოგახსენებთ ერთს, რომელიც მოხდა 29-ს ენკენისთვის:

ზემო აღნიშნულ რიცხვს დილით აღრე სუდისკენ მომიხდა ვაგლა, სადაც ბლომათ გლეხ-კაცობა იღვა. მომსურდა გამეგო—რა ამბავია; დავეკითხე, რისთვის ხართ? საწყლები გამგლეზულნი მომცვიდნენ, ეგონათ მე შემძლო რამე ნუგეში მეცა მათთვის და დამიწყეს მიზეზის ახსნა:

—ჩვენ ყექცულები ვახლავართ, რაც ბატონ-ყმოზა გარდავარდა, სულ ამ წვალემაში ვართ. დღე არ გავა, რომ სუდის კარებთან

ჩვენთავანი არ იდგეს; ჩვენ—გახლდრებულთ. აბაშიძის ყმები, რომელმაც ჩვენის მამულით დავავარაგა პრიკაზში; იმის სიკვდილის შემდეგ ყოველ-წლივ რამტელიმე მებატონე და ავეკუნი გამოგვიცლია; რამტენიც რომ გამოიცვლებოდა და ახალი დადგებოდა, იმდენი ხელმეორეთ წასრული წლების ლალებს წაგვედავებოდა და გვახდევინებდა. ამ ნაირი გაჭირების გამო ჩვენი ნადელები შევისყიდეთ, მაგრამ ვაი ამ შესყიდვას, ჯერაც არ ჩავებარებია. ამ მამულებზედ ეხლა არის დანიშნული ავეკუნათ თ. დ. შ—ვი, რომელიც დღეს სულში გვიჩივის იმ მამულების ლალებზედ, რომელზედაც შარშან სუდის გარდაწყვეტილობით თ. მ. მ—მა გადაგვახდევინა და მამულეზიკ მძრავრობით დაიჩემა.

ამ ლაპარაკშიდ რომ ვართ, უცებ ცხენის თქარა-თქურით მოიჭრა თ. ნ. დ—ძე, რომელიც ამასწინათ ცილის წამებით იყო თქვენს ვახეთში მოხსენებული. ეს რომ გლეხებმა დანახეს, სულ აფრინდნენ, სთქვეს: ახლა მაინც იქნება გვეშველოს რამეო! ეს რომ გავიგანე, ძალიან მსურდა შემეტყო შეეწეოდა ეს კეთილი სული, თუ არა, დაუწყე ყურის გდება. ჩვეულობისა მეგრ სულიამ დაიგვიანა; გახდა შუადღე, არსად არის; უცებ სთქვეს, სუდია ავთ არისო და იმის თანაშემწე გაარჩევსო. სინამ ბ. ს—ვი მოირთებოდა, ბევრი დრო გავიდა; ბოლოს ძლივს გვეშველა მოვიდა და შეუდგეულდა გარჩევას. ამოიკითხა ავეკუნი თ. დ. შ—ვი და ერთი გლეხი იმათავანი, რომლებზედაც ავეკუნი სჩიოდა. სუდია უბძანა გლეხს: ავეკუნი ლალას ვედავება და რატომ არ აძლეო? ბლენმა მოახსენა: გთხოვ ჩემს მაგიერათ ილაპარაკოს თ. ნ. დ—ძემ. სუდია ნება მისცა, დ—ძემ უპასუხა, რომელ სამძღვრებშია მამულზედ ეგ ავეკუნი სჩივის იმ მამულზედ თქვენის გარდაწყვეტილობის ძალით გადახდევინა ლალა თ. მ. მ—მა და ცოდვაა, რომ მეორეთ გადახდეს. სუდია გამართლა ეს გლეხნი; მეორე დაძახილ გლეხს საქმეც ესე ვათავდა. ბატ. სუდია ეს ორი საქმე რომ გაარჩია, წამოსდგა და გამოაცხადა:—რადგან შეუძლოთა ვარო, ზასედანია იხურებოდა და დანარჩენი საქმეები სხვა დროსთვის გადაიდებო.

ზამოვედით ვართ, დ—ძემ სთხოვა სუდიას, ვაი თუ მერე ველარ მოვიცალოვო და გთხოვ დანარჩენი გლეხების სადილ შემდეგ გაარჩიოთო. სუდია დაყაბულდა და გლეხებს გამოუცხადეს, საღამოს ხუთ საათზედ მოდითო. მე ჩემი არ დავიშალე, მიხლოდა გამეგო როგორ დაბოლოვებოდა გლეხების საქმე და ამისთვის ხუთ საათზე მივედი კიდეც სულში, სადაც დამხდნენ ხსენებული გლეხნი და თავადნიც. მითმა გლეხთავანმა სთხოვა თ. დ—ძეს, რომ ავერ რამდენი ხანია ჩვენი ნადელების ნასყიდობა მოსილია, რამდენჯერაც მოესულვართ სათხოვენლათ, სულ გვეუბნებიან: კვლავ მოდითო! ამითი



ათმა წელიწადმა მეტმა გაიარა და ლამის ისიც სხვებმა წაგვართვანო. **მ. დ.**—ძემ იმ წამ შეიყვანა კანცელარიაში და სეკრეტარს სთხოვა, რომ ამათი საქმე ასეა და გთხოვთ მოუძებნოთო. **სეკრეტარს** ეს თხოვნაც არ მოესმინა ჯერ, რომ ეს საწყალი გლეხი პანდურის ცემით გარეთ გამოაგლო და მიუხურა კარები. **მ. დ.**—ძემ მაინც განუმეორა თხოვნა, მაგრამ ბატ. **ლ.**—ცემ ამასაც შემოუტია: **НЕ УГОДНО-ЛИ ВИДИ!** **მ. დ.**—ძემ უპასუხა: მე მოვიციდი, სანამ სულია მოვაო. **სეკრეტარმა** თავისი არ დაიშალა, დაუძახა სტოროქს და უბძანა ეხლავე გაიყვანეო. **მ. დ.**—ძემ მაინც ხმა არ გასცა და უცდიდა მოთმინებით სულიას, რომელიც ხუთი საათის მაგიერათ ექვსის ნახევარზედ მობძანდა. შევიდა თუ არა კენცელიარიაში, სეკრეტარმა მაშინვე ის შეჩივლა, რომ ამ ბატონს კანცელიარიაში გასვლა განუცხადე და არ გავიდაო. **ლ.**—ძეს უნდა ეამბნა საქმის გარეგება, მაგრამ ბატ. **ხ.**—მა აღარ დააცა და დათურათ დაიღრიალა: ეხლავე პროტოკოლი შეადგინეთო! მიუბრუნდა და **ლ.**—ძეს უთხრა: „შენ როგორ გაბედე, რომ გიბძანა გასვლა და არ გახვედი? არ იცი, რომ ეს აქაური ნაჩაღნიკია!?“ **მ. დ.**—ძე ამისთანა მოულოდნელი პასუხის გამო სულ გამტერდა, ამას იმედი ჰქონდა და, როგორც განათლებული კაციგან, რიგთან სამართალს მოელოდა, მაგრამ ეს უფრო ბრიყულათ მოიქცა. რას ეტყობა, გამოვიდა გარეთ. როცა მოიფიქრა **ბ. ხ.**—მა, გამოვიდა ისიც გარეთ და დაუწყო დარიგება **ლ.**—ძეს. **ლ.**ეთის წყალობა გაქვს **ლ.**—ძემ კარგათ შეუტია და ჩაკემენდინა ხმა. უთხრა: გირჩევიან შენი თავი დაარიგო, შენ თითონ ხარ დასარიგებელი და ვერც იქცევი ისე, როგორც წესია.

ამის შემდეგ აბა რაღა გული ექნებოდა საწყალ გლეხების საქმეზედ, ამისთვის **ლ.**—ძემ სთხოვა ავეყუნს, რომ საქმეები გადაედოთ, რომელმაც თხოვნაც შეუსრულა, თითონ შეგდა ცხენზედ და წავიდა.

საწყალმა გლეხებმა დაიწყეს ჩივილი, ვინცის ან ამოვა ჩვენი გულისთვის კიდევ და ან არა.

აბა, **ბ.** რედაქტორო, თუ კი ამისთანა პირს ასე ეპყრობიან, მდაბიო ხალხს რაღას უზამენ?

ეს საგანი, რასაც ვსწერ, სულ სიტყვა-სიტყვაზედ მართალია. მე რომ ერთი საწყალი კაცი არ ვიყო და არ შეზინოდეს პირ-და-პირ სახელს მოვაწერდი.

თუ როგორ დაბოლოვდება გლეხების საქმე, ამას დაწვრილებით შემდეგ გაცნობებთ.

თავის თვალთ მხასკელი.

თხილისის საგურნალო

ვათმეოფეებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდან ვიდრე ნაშუადღეის ჰორველ საათამდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი გავრონსკი—ქაღის ვათმეოფობისა, ლისიციკი—შიგნეულეების ვათმეოფობის, როტინიანტი—ქაღისა და ყმაწვილების ვათმეოფობისა, ბასუტოვი—სირურგიულ და თვალის ვათმეოფობის, ბასუტოვი—ნეურვიების ვათმეოფობის, და შტემბორსკი—გენეროულ და კანის ვათმეოფობისა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ექ. მინკვიჩი — სირურგიულ ვათმეოფობის, ჟურავლევი—გენეროულ და კანის ვათმეოფობის, ტეისი—თვალისა, ბასუტოვი—გულისა და შინაგანის ვათმეოფობის, ბასუტოვი—ბუბიობის, ქაღისა და ყმაწვილის ვათმეოფობის, გერმიშვიკი—შინაგანის ვათმეოფობის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: გავრონსკი—ქაღის ვათმეოფობის, ლისიციკი და რუდკოვსკი—შინაგანის ვათმეოფობის, ასტვანტოროვი—აღის, შტემბორსკი—გენეროულ და კანის, ზომერანტოვი—გულის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ჟურავლევი—ეფლისა და გულის ტვივილის, როტინიანტი ქაღისა და ყმაწვილის ვათმეოფობის, ქიუნსინტი—გენეროულ და საშარდე სარების ვათმეოფობის, გერმიშვიკი—შინაგანის ვათმეოფობისათვის.

ზ ა რ ა ს კ ე ვ ს: გავრონსკი—ქაღის ვათმეოფობის, მინკვიჩი—სირურგიულის, ლისიციკი—შიგნეულის, ბასუტოვი—ბუბიობის, ქაღისა და ყმაწვილების ბასუტოვი—ნეურვიების და შიგნეულეების, ასტვანტოროვი—გენეროულ და კანის, შტემბორსკი—გენეროულ და კანის ვათმეოფობისათვის.

შ ა ბ ა თ ს: ჟურავლევი—გენეროულ და კანის ვათმეოფობისა, ტეისი—თვალის ბასუტოვი—გულისა და შიგნეულეების და გერმიშვიკი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი **ბ ა ბ ა ე ვ ი** მუქთად სწამლობს ღარბ ვათმეოფეებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდან 9-დამ (სერგიევის ქუჩა, ბანდურის სახლი).

დ ა ლ კ რ ა ჟ უ რ ა ვ ლ ე ვ ი მიიღებს ღარბ ვათმეოფეებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდან 7-მდინ **ს ა მ კ უ რ ნ ა ლ შ ი ვ ე ე.**

კბილის ექიმი **ო ბ რ ე ს ტ ი** ვათმეოფეებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლდვინის პროსპექტი, ზარაფეის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდან 11-მდინ **ს ა მ კ უ რ ნ ა ლ შ ი ა რ ის** ბუბია ვათმეოფობისა.

განცხადებანი

წ ი რ ა - პ ი თ ხ ვ ის ბ ა მ ა მ რ ა ე ლ ე ბ ე ლ ი საზოგადოება სთხოვს **ბ. ბ. საზოგადოების** წევრთა დაესწონ თბილისის სახალხო სკოლის გახსნას სამშაბათს, 14 ოქტომბერს, დილის 11 საათზე.

შკოლა იმართება საპერის ქუჩაზე, 41 №-ში, ბაბანასოვის სახლებში. საზოგადოების მმართველობა სთხოვს იმ მოზებელთა, რომელთაც განაცხადეს სურვილი შეილდების შემოყვანისა ამ სკოლაში, მოზრძანდენ თავიანთი შეილდებით ამ სკოლაში, ზემოთ დანიშნულ დროს. 3-1

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 9 დენობისთვის ქართული ტრუპისაგან წარმოიდგინება არწრუნის თეატრი:

I ნაკვერქალი

ორ მოქმედებიანი კომედია გაღმოკეთებული ძ. შიფიანისაგან.

II ს ც ე ნ ე ბ ი

საკათიგროვი

აკ. წერეთლისა.

III

ჯარ დანოსენ და მერა დამორ-წილდენი

ორ მოქმედებიანი კომედია რაფ. მრისთვისა.

ბილეთები ისეიდება ჩრწრუნის თეატრის კასსაში და აზნაურავის თამბაქოს მაღასაში.

დასაწყისი 7 1/2 საათზე.

მედიცინის ექიმი

იაკუბოვიჩი

იღებს ვენერიულ ავთმეოფეებს სამშაბათობით დილის 11 საათიდან 12 საათამდინ.

ადრესი დოქტორისა: ბალაგინის პროსპექტი, თ. ივ. მუხრანსკი სახლი. (6-2)

სოლოლაკზე, სადოვის ქუჩაზე, მელიქოვის სახლში, № 43 არის **ბასაძირავებელი**

სადგოვი

ხუთი ოთახის, თავის სამზარეულოთი, სარდაფით და სხვა მოწყობილობით. ძირადდება წელიწადში ოთხსას-ორმოცდა-ათ (450) მანეთად. დაწვრილებით პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან იქვე, სახლის პატრონთან. 5-3

ახალი გაყოფენა

ოთხი თვის მოქმედების ნაყოფი „ფილიპოვიჩის და აბხ.“ **ქოტოგრაფიისა**

(საგანგებოდ აშენებულს სახლში)

ბოლოვინის პროსპექტი, თ. ი. ზუბოლოვის სახლი თფილისის ძრების გვერდით, ყოველ-დღე დილის 9 საათიდან საღამოს 8-მდე. 10-10

პატენტიანი უზრუნველყოფილი

თმებისაოვის 1 მ. 50-დამ და ცხკე-ბისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილეტი **სასურავებით** 2 მანეთიდან; სარძვევე 30 კაზ.; რუქები 5 კ.-დამ; ფილტრები (წელის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გედება 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლი-სურს მაღასაში.** (100-66)

შეპარია შიჭინაძის წიგნის მაღასაში (ალექსანდროვის ბალთან რუსის საყდრის გვერდით) **იქიდება მარი იზანეს-ძის**

ბროსეს

სურათები, თითო 30 კ. ამ სურათებისაგან შემოსული ფულით გამოიცემა თვით ბროსეს ზგერთი სტატეგები, რომელიც ფრანცუზულის ენიდამ ქართულად ნათარგმნია.

ზარემ მცხოვრებელთათვის აღრესი: **Въ Тифлисъ въ книжный магазинъ Зах. Чичинадзе.** (10-10)

ინგლისის მაღასაში

Maison de confiance

შეადრეთ წყნისაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ხაის—1 მ. 40 კ.

— — — 1 — 20	— — — 1 — 60
— — — 1 — 40	— — — 1 — 80
— — — 1 — 60	— — — 2 — „
— — — 1 — 80	— — — 2 — 50
საუკეთესო — 2 — „	— — — 3 — „

იქვე ისეიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ქურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვხები, ტაშტები, კალმები, ქალაღი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირი-ბი, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკარი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღასაში.

შინც ქალაქს გარედამ 25 მანეთი-დამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ დის. (100-44)

შენიშნვა

რადგან მთელს ქვეყანაში გამომჩენილი და მიღებული წამალი. **თმის გასამაგრებელი**

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისეიდება, ამის გამო **ინგლისის მაღასაში** ეს წამალი ეხლს 2 მათად დინს. (100-62)